საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

“გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი”

ბრძანება

52-01/1-4-202006171801

N 52/ს 17/06/2020

საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისიისა და კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ 2020 წლის 14 იანვრის N2/ს დირექტორის ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2018 წლის 6 სექტემბრის N2-742 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის - ანა ჭოლოკავას, 2020 წლის 16 ივნისის N220 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის 2020 წლის 14 იანვრის N2/ს ბრძანების 1-ელ პუნქტს დაემატოს „ბ[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ[1]) ეკატერინე ბენდელიანი - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრი;“

2. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

3. ეს ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი